სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

02 მაისი 2024

N 109

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 16 აპრილის №78 ბრძანებისა და „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული 2024 წლის 2 მაისის №1 ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ გამოცხადებული კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ერეკლე ტრიპოლსკი** - კინორეჟისორი;

ბ) **გიორგი პიპინაშვილი** - მსახიობი;

გ) **ნანული სარაჯიშვილი** - მსახიობი;

დ) **ქეთევან ტრაპაიძე** - კინომცოდნე;

ე) **კახაბერ მაჭარაშვილი** - პროდიუსერი.

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტი - **მაკა ლომია.**

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომისიის წევრებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები და იმავე ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი